ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში** BA in English Philology
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; • დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს, განახლებულია 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფ. რეზო მარსაგიშვილი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს ორ ძირითად მიმართულებას - ლინგვისტიკას, რომელიც იძლევა ინგლისური ენის მრავალმხრივი შესწავლის შესაძლებლობას და ლიტერატურათმცოდნეობას, რომელიც მოიცავს ინგლისურენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვან ავტორებს, ჟანრებს და ნაწარმოებებს. მისი მიზანია მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც/რომელსაც:

- სრულყოფილად ეცოდინება ინგლისური ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება;
- აღჭურვილი იქნება ინგლისური ენის სტრუქტურისა და მისი სისტემური თავისებურებების შესახებ საბაზო ცოდნით;
- ექნება ფართო ცოდნა ბრიტანული და/ან ამერიკული ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესახებ;
- შეეძლება ინგლისურენოვანი ტექსტის განსხვავებული ტიპების არა მხოლოდ გაგება, არამედ მათი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით.

ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირებული მსჯელობა.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

1. ავლენს ფართო თეორიულ ცოდნას ინგლისური ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და სტილისტიკის შესახებ;
2. ავლენს ფართო ცოდნას ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
3. ავლენს ზოგად ცოდნას ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურის ისტორიის და საფუძვლიან ცოდნას მათი ერთ-ერთი და/ან რამდენიმე პერიოდის შესახებ;
4. ავლენს ფართო ცოდნას დიდი ბრიტანეთის და/ან ამერიკის კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ;
5. შეუძლია ინგლისურენოვანი ტექსტის კრიტიკული ანალიზი, რომელიც გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა შინაარსობრივი შრის იდენტიფიცირებასა და ინტერპრეტაციას;
6. ტექსტზე მუშაობისას იყენებს ლინგვისტური ანალიზის და ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდებს და

მიდგომებს, და შეუძლია ინგლისურენოვანი ტექსტის გააზრება და განხილვა ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით;

7. ფლობს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე;

8. აქვს დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

9. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ინფორმაციის მოძიება და მისი დამოუკიდებლად ანალიზი.

პროგრამის სტრუქტურა

ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი
- დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II – 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის კურსი - 6 კრედიტი
- ინგლისურენოვანი დისკურსი - 18 კრედიტი
- შესავალი კურსები - 12 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფერო * - 120 კრედიტი:

- <u>ანგლისტიკის პროგრამის სავალდებულო</u> კურსები - კოდით - HUMENGEN - **48** კრედიტი
- <u>ანგლისტიკის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი</u> კურსები კოდით - HUMEN – არანაკლებ **60** კრედიტი, მათ შორის:
  - ენის პრაქტიკული კურსები**
  - ლიტერატურათმცოდნეობის კურსები - სულ მცირე 12 კრედიტი
  - ლინგვისტიკის კურსები - სულ მცირე 12 კრედიტი
  - ისტორიისა და კულტურის კურსები - სულ მცირე 6 კრედიტი
- <u>ანგლისტიკის არჩევითი</u> კურსები*** კოდით - HUMEN – მაქსიმუმ **12** კრედიტი

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

**ანგლისტიკის მიმართულების ძირითადი დარგობრივი კურსების ასარჩევად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს A2 დონე.*
***იმ შემთხვევაში, თუ ენის პრაქტიკული კურსების (ინგლისურენოვანი დისკურსის) ფარგლებში სტუდენტი საჭიროებს გაიაროს ჯამში 7 კურსზე/დონეზე მეტი (რომელთაგან 3 ეთვლება ზოგად მოდულში, ხოლო დანარჩენი 4 ძირითადი სპეციალობის ფარგლებში), მას ენის დანარჩენი პრაქტიკული კურსები ჩაეთვლება თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.*
****სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსებისათვის განსაზღვრული 12 კრედიტი სრულად ან ნაწილობრივ დააგროვოს HUMEN სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან.*

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- დისკუსია / დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდები, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (ერთწლიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მმსპ) გავლის შემთხვევაში);
- საერთაშორისო-კულტურული ურთიერთობები - საელჩოს/საკონსულოს თანამშრომლად;
- საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები;
- სოციალურ-ჰუმანიტარული და ბიზნესის სფეროები - თარჯიმან-რეფერენტად;
- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო;
- კულტურული ტურიზმი;
- არასამთავრობო სექტორი;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები;
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: ინგლისურენოვანი გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები.

პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- კომპიუტერული კლასები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-Learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/.